

ღია ლექცია ახალ საწარმოში

კიდევ ერთი ახალი საწარმო, ახალი შემოსავალი სახელმწიფო ბიუჯეტში, ახალი ტექნოლოგიები, ადგილი, სადაც სტუდენტებს გვეძლევა საშუალება მოვისმინოთ და პრაქტიკულად ვადევნოთ თვალყური ერთდროულად მიმდინარე რამოდენიმე ტექნოლოგიურ პროცესს. სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის IV კურსის № 1635 ჯგუფის გასვლა მიმდინარე სასწავლო წლის 12 მარტს შპს სამთო კომპანია “ფარავანპერლიტი”-ში, რომელიც დაბა გაჩიანში მდებარეობს.

მადლობა უნივერსიტეტის რექტორს, პროფ. არჩილ ფრანგიშვილს, რომელმაც გამოგვიყო მიკროავტობუსი და ხელი შეგვიწყო კიდევ ერთი ღია ლექცია მოგვესმინა საწარმოში და თეორიული ცოდნა საკუთარი თვალთ ნანახით გაგვემდიდრებინა.

თითქმის წესად დანერგეს საგნის, “სამშენებლო წარმოების ტექნოლოგიი“-ს პედაგოგებმა ასოცირებულმა პროფესორმა მარინა ჯავახიშვილმა და ასისტენტ პროფესორმა ირმა ღარიბაშვილმა შეძლებისდაგვარად ყოველი ახალი თემის განხილვა სამშენებლო ობიექტზე ან საწარმოში.



შპს სამთო კომპანია “ფარავანპერლიტი“-ს საერთო ხედი



საწარმოს მთავარი ინჟინერი ზურაბ გიორგაძე საწარმოს შექმნის ისტორიას გვითხრობს



ასოც. პროფ. მარინა ჯავახიშვილი ახალი ტექნოლოგიური პროცესის ახსნისას



სხვადასხვა ფრაქციის პერლიტური ქვიშის ბუნკერები



წვრილფრაქციული პერლიტი, რომელიც უკვე ექვემდებარება აფუებას



ტომრების შევსება აფუებული პერლიტით



სარეალიზაციოდ გამზადებული აფუებული პერლიტი ტომრებში, რომელიც მრავალმიზნობრივი უნივერსალური მასალაა. თავისი მაღალი ადსორბციული უნარის გამო მისი შენახვა საჭიროა მშრალ, კარგად განიავებად, გარეშე სუნების არმქონე სათავსოში, დაფასოებული მრავალშრიანი ქაღალდის ან პოლიეთილენის ტომრებში.



პერლიტისაგან დამზადებული საკედლე და სატიხრე თბოსაიზოლაციო მსუბუქი ბლოკები, რომელიც ნედლეულისა და ენერგეტიკული რესურსების ეკონომიის, მაღალკომფორტულობის მიზნით გამოიყენება საბინაო და სამოქალაქო მშენებლობაში.



ფილტროპერლიტს აწარმოებენ პერლიტის ქანისგან თერმული დამუშავების შედეგად, 900-950⁰ C ტემპერატურაზე, რომელიც ფართოდ გამოიყენება სასმელი წყლის, კონიაკის, ლუდის, ღვინის, ხილის წვენების და სხვ. წარმოებაში



პერლიტობეტონის ბლოკების საყალიბე დანადგარი



მზა პროდუქციის საწყობი

მადლობა ჩვენს პედაგოგებს სასწავლო სემესტრის საინტერესოდ წარმართვისათვის.